სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/111

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023წ.

2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (იხ. დანართი 1);
3. დამტკიცდეს დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა განცხადებების შეტანისა და მათი ჩარიცხვის ვადები (იხ. დანართი 2);
4. დამტკიცდეს საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობები (იხ. დანართი 3);
5. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, აგრეთვე სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**